2

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ბიუროს სხდომის
ო ქ მ ი № 18

ქ.თერჯოლა

20 ნოემბერი 2024 წელი

ან. ჭანტურიძის ქ. №7

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: 1.გიორგი ბარათაშვილი, 2.დავით გოგბერაშვილი, 3. ჯემალ ისაკაძე, 4. ნინო ჩხიკვაძე, 5. ბადრი ბუცხრიკიძე, 6. გრიგოლ გიორგაძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. ნინო მახათაძე. 9. გოჩა ვერულაშვილი, 10. თემურ ქოჩიაშვილი.

სხდომას არ ეწრებოდნენ: 1.ტარიელ ფანჩულიძე, 2. კახა ბუცხრიკიძე.

საკრებულოს ბიუროს სიითი შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 7 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტისა დადგენილების პროექტის დამტკიცებისა და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმეტის განხილვა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282431711, 12.11.2024 წ.).

მომხს.: თ.ქოჩიაშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დადგენილების პროექტი - მუნიციპალიტეტის შემოსულობების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 20 500.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საგადასახადო შემოსავლები - 17974.7 ათასი ლარით, გრანტები - 300.0 ათასი ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 1875.3 ათასი ლარით და შემოსავლები არაფინანსური აქტივების (კაპიტალური შემოსავლების) სახით 350.0 ათასი ლარის ოდენობით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსდება - 1420.0 ათასი ლარი.

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 3000.0 ათასი ლარი.

განათლება - 6136.0 ათასი ლარი.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 2773.0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა -1770.0 ათასი ლარი.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2025 წელში განსაზღვრულია -5401.0 ათასი ლარით.

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1175.0 ათასი ლარი;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია - 4000.0 ათასი ლარი;
- სარეზერვო ფონდი - 100.0 ათასი ლარი;
- წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 1.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 95.0 ათასი ლარით.
- კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი - 20.0 ათასი ლარი.
- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 10.0 ათასი ლარი (განმარტებითი ბარათი თან ახლავს)..

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ წარმოადგინა შემდეგი შენიშვნები:

1. გაზრდილი იქნას ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლები- 50,0 ათასი ლარით.
2. გაზრდილი იქნას დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებლები- 50.0 ათასი ლარით.
3. გაზრდილი იქნას არაფინანსური აქტივებიდან შემოსავლები - 50.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: ბიუროს ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე-10, წინააღმდეგი-0

გადაწყვიტეს: შევიდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში საკითხი თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტისა დადგენილების პროექტის დამტკიცებისა და 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმეტის განხილვა (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282431711, 12.11.2024 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 ნოემბრის საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი